

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი  
წარმომადგენლობითი საბჭო**

---

ქ. ბათუმი

27 აპრილი, 2013 წელი

**გადაწყვეტილება №05-01/02**

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების  
წესის დამტკიცების შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-17-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 აპრილის №04-01/21 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი თანახმად დანართისა.
2. გადაწყვეტილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, შესაბამისმა ფაკულტეტებმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და საქმისწარმოების სამსახურმა.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერის თანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი**

**თ. მეიშვილი**

„შეთანხმებულია“

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო  
უნივერსიტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის  
27 აპრილის №04-01/21 დადგენილებით.

„დამტკიცებულია“

სსიპ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 27 აპრილის  
№05-01/02 გადაწყვეტილებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საგანამანათლებლო პროგრამების  
განხორციელების წესი

ბათუმი  
2013

## შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულება .....	3
მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე .....	3-4
მუხლი 2 <sup>1</sup> . საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, დამტკიცება და შეფასების წესი .....	5-6
მუხლი 3. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი .....	6-7
მუხლი 4. გადაყვანისა და აღდგენის წესით ჩარიცხვა ხელოვნების უნივერსიტეტში .....	7-9
მუხლი 4 <sup>1</sup> . კრედიტების აღიარება .....	9-11
მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის ათვისების წესი .....	11-15
მუხლი 6. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ნაშრომის გაფორმება-წარდგენა .....	15-17
მუხლი 7. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ნაშრომის დაცვის პროცედურა .....	17-18
მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა .....	18-19
მუხლი 9. კვალიფიკაციის მინიჭების წესი .....	19

## აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში ხელოვნების უნივერსიტეტი) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და პირობებს.

2. ხელოვნების უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს.

3. უმაღლესი განათლების სისტემა ორსაფეხურიანია, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ითვლება პირველი საფეხურის პროგრამებად. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხური შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამებს. მაგისტრატურა წარმოადგენს უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურს.

4. უნივერსიტეტი ახორციელებს მასწავლებლის მომზადების ერთწლიან, 60-კრედიტიან პროგრამას, როგორც ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში, ასევე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლად. კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი (*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 27.04.2013 წლის № 04-01/21 დადგენილებით*).

5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გათვალისწინებული იყოს 60 კრედიტზე. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. საშემსრულებლო მიმართულებით ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ შემოქმედებით სამუშაოს და ანალიზს, თეორიული მიმართულებით კი – კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას, რომელთა საფუძველზეც ის შეძლებს საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენას.

7. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე შეიძლება ჩარიცხულ იქნას მხოლოდ ის აბიტურიენტი, რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და ასევე, საშემსრულებლო-შემოქმედებით სპეციალობებზე წარმატებით გადალახა შემოქმედებითი ტური ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად (*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 27.04.2013 წლის № 04-01/21 დადგენილებით*).

### მუხლი 2 . საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს დარგის აკადემიური პერსონალი. პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან და უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, მომავალი სტუდენტების, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოთხოვნებს. პროგრამაში შემავალი სხვადასხვა ასპექტი უნდა აღიწეროს მკაფიო, გასაგები ენით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, - სრული ან ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან მოწვევის შემთხვევაში დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აგრეთვე ასისტენტ-პროფესორი.

4. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე უნდა მიეთითოს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, შესაბამისი ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანი-ჭებელი

აკადემიური ხარისხი (ქართულად და ინგლისურად), პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 15.12.2011 წლის № 92 დადგენილებით).

5. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აისახოს:

ა) პროგრამის სახელწოდება  
ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;  
გ) საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი (აკადემიური, პროფესიული, ძირითადი და/ან დამატებითი და ა.შ.);

დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ე) პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ვ) წავლების ენა

ზ) პროგრამის მიზანი და აქტუალობა - უნდა აღიწეროს პროგრამის მიზანი, დასაბუთდეს პროგრამის აქტუალობა, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები კურსდამთავრებულის მიმართ;

ვ) პროგრამაზე დაშვების პირობები - უნდა მიეთითოს, როგორ ხდება პროგრამაზე ჩარიცხვა, რა წინაპირობები არსებობს პროგრამაზე დასაშვებად;

თ) სწავლის შედეგი - უნდა აღიწეროს პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები და უნარ-ჩვევები;

ი) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

კ) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა - უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და მოცემული პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების მეთოდების სხვადასხვა კომბინაციას, დეტალური ინფორმაცია მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილ შეფასების მეთოდებზე უნდა აღიწეროს კონკრეტული კურსის სილაბუსში);

ლ) დასაქმების სფეროები - თუ პროგრამა ითვალისწინებს განსაკუთრებულ პროფესიულ სტატუსს ამ შემთხვევაში მითითებული უნდა იქნას „პროფესიაში შესვლის პირობებიც:“ (სასერტიფიკაციო გამოცდები, მასწავლებლობის მამიებლობის წარმატებით გავლა და ა.შ.). ასევე უნდა ჩაიწეროს კურსდამთავრებულის დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე;

მ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა) - სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი და მათი განაწილება სემესტრების მიხედვით. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის ლოგიკურ ურთიერთკავშირს და თანმიმდევრულობის პრინციპით უნდა იყოს აგებული;

ნ) მატერიალურ-ტექნიკური და აკადემიური რესურსის გათვალისწინებით, პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი;

პროგრამას უნდა დაერთოს მასში ჩართული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივობის (პრაქტიკის, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის) დეტალური აღწერა და ინფორმაცია (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 27.04.2013 წლის № 04-01/21 დადგენილებით).

6. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 120 კრედიტს, საფაკულტეტო დისციპლინების 40 კრედიტს და საუნივერსიტეტო დისციპლინების 20 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს და შეისწავლოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის მოცულობით, ან თავისი ინტერესების შესაბამისი სასწავლო კურსები იმავე მოცულობით. საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამებში დამატებითი სპეციალობის ნაცვლად არჩევითი სასწავლო კურსების შეტანის საკითხს წყვეტს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი დეპარტამენტისა და ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით.

7. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო/შემოქმედებით მუშაობისა და კვლევით კომპონენტს და იგი უნდა შეადგენდეს პროგრამის სრული მოცულობის არანაკლებ 25%.

**მუხლი 2<sup>1</sup>. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შეფასების წესი** (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 27.04.2013 წლის № 04-01/21 დადგენილებით)

1. პროგრამის შემუშავებას კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იგი ადგენს პროგრამის შესაბამისობას ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში და შესაბამის

ფაკულტეტზე მოქმედ სტანდარტებთან საქართველოში არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის № 120/ნ-ბრძანებით დამტკიცებულ კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი სრულყოფილად მომზადებულ პროგრამაზე ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს შესაბამისი დადგენილების პროექტს.

3. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და იღებს გადაწყვეტილებას მისი მიზანშეწონილობის შესახებ.

4. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა ეგზავნება ხელოვნების უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, მის მიზანშეწონილობას და დასამტკიცებლად წარუდგენს ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

5. დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დამოწმებული ასლი აკრედიტაციისთვის ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკრედიტაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ ცხადდება პროგრამაზე მიღება.

6. აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის ოდენობას პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

7. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

8. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის საბჭო სხდომაზე ისმენს პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშს მისი მიმდინარეობის შესახებ, ამ პროცესში არსებული ხარვეზების თუ სხვა სახის პრობლემების თაობაზე. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

9. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი აქტივობების კოორდინაცია ევალება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

10. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხელოვნების უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური შეფასება.

11. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება პროგრამის განახლება, მოდიფიცირება.

12. საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

13. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას კოორდინირებას უწევს ხელოვნების უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

14. პროგრამების შეფასებას საწყის ეტაპზე ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

15. შეფასების პროცესში ჩართული არიან პროგრამის ბოლო წლის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები.

16. შეფასების პროცესი იწყება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ანკეტირებით (სპეციალური კითხვარების საშუალებით).

17. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კითხვარების ანალიზის, სტუდენტთა რეიტინგული მონაცემებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების შეჯერების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებლად.

18. რეკომენდაციები ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს.

19. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით პროგრამაში შესული ცვლილება მტკიცდება აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

20. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტს საშუალება აქვს აირჩიოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამა, გადავიდეს სასწავლებლად სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან გაუქმებამდე არსებული პროგრამა გაიაროს ინდივიდუალური სწავლების წესით. სტუდენტის ინდივიდუალურ სწავლებაზე გადასვლის ან

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილებას ღებულობს რექტორი.

21. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის, აკადემიური რეგისტრაციის არგავლის, პროგრამაზე სწავლის მსურველთა კონტინგენტის სისტემატური უარის გამო ან არასაკმარისი აკადემიური რესურსის შემთხვევაში პროგრამაზე მიღება აღარ გამოცხადდება. ფაკულტეტს შეუძლია შრომის ბაზრის მოთხოვნების, აგრეთვე, აკადემიური რესურსების გათვალისწინებით, შეიმუშავოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა.

### **მუხლი 3. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი**

1. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსით სარგებლობს ნებისმიერი პირი, რომელ-იც საქართველოს კანონმდებლობითა და ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

2. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩაირიცხვა მოხდება მხოლოდ ფაკულტეტების მიხედვით. სტუდენტების გადანაწილება სპეციალობებზე განხორციელდება სტუდენტთა პირადი განცხადებებისა და შემოქმედებითი ტურების შედეგების საფუძველზე. უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩაირიცხვის შესახებ ბრძანებებს გამოსცემს რექტორი, ფაკულტეტების სპეციალობებზე გადანაწილების შესახებ კი – შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.

3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს. მუსიკის ფაკულტეტზე დასაშვებია, აგრეთვე სპეციალური მუსიკალური განათლების დამადასტურებელი დიპლომის მქონე პირს.

4. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

5. სწავლების მეორე წლიდან სტუდენტს უფლება აქვს ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა, თუ პროგრამაზე არსებობს ვაკანსია და ათვისებულ და ასათვისებელ პროგრამებს შორის სხვაობა (შეცვლის ეტაპზე) სასწავლო წლისათვის არ აღემატება 15 კრედიტს, ძირითად საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად კი 75 კრედიტს. პროგრამაზე სწავლის ეტაპი განისაზღვრება „სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 08.10.2012 წლის № 7 დადგენილებით).

5<sup>1</sup>. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს თავაზობს ალტერნატიულ პროგრამას გავლილი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის“ ან პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 08.10.2012 წლის № 7 დადგენილებით).

6. ხელოვნების უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ:

ა) სწავლების თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში;

ბ) სწავლის თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში.

7. სტუდენტი ვალდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება და შინაგანაწესი.

7<sup>1</sup>. სასცენო ხელოვნების სამსახიობო მიმართულების სპეციალობის საგანში/საგნებში (მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება, სასცენო მოძრაობა) სემესტრის მანძილზე განსაზღვრული სალექციო საათების 25%-ის არასაკმარისი მიზეზით გაცდენების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სემესტრულ გამოცდაზე და ეკისრება საგნის/საგნების განმეორებით გავლა (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 21.11.2011 წლის № 86 დადგენილებით).

7<sup>2</sup>. კინო-ტელე ხელოვნების მიმართულებით სემესტრის მანძილზე სტუდენტი სპეციალობის საგანი/საგნებში (რეჟისურა და მონტაჟის საფუძვლები, მონტაჟის რეჟისურა და გრაფიკის საფუძვლები, ოპერატორის ოსტატობა) სააუდიტორიო (ლექცია/პრაქტიკული) საათების 50%-ის არასაკმარისი მიზეზით

გაცდენების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სემესტრულ გამოცდაზე და ეკისრება საგნის/საგნების განმეორებით გავლა (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 15.12.2011 წლის № 92 დადგენილებით).

8. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე, სტუდენტს უწყდება ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი. გამოწვევის შედეგად დაშვებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით.

9. სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს აგრეთვე:

ა) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გამო;

ბ) დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობის გამო;

ბ<sup>1</sup>) მუსიკის ფაკულტეტის სამემსრულებლო მიმართულებით ერთიდაიმავე სასწავლო კურსის (სპეციალობის საგნის) ორჯერ გავლა და კრედიტის ვერ მიღება (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 24.10.2011 წლის № 75 დადგენილებით).

გ) პირადი სურვილით;

დ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვისას;

ე) გარდაცვალებისას;

ვ) ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სხვა საფუძველებით;

ზ) უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხს, გარდა ამ მუხლის 9-ე პუნქტის “გ,”დ” და “ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, განიხილავს ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარდა ხელოვნების უნივერსიტეტში მოქმედებს სტატუსის შეჩერების წესიც. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერება ხდება აკადემიურ შვებულებაში გასვლის, ან სწავლის საფასურის გადაუხდელობისას უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრული პირობებით. სტუდენტს აკადემიური შვებულება შეიძლება მიეცეს ერთი ან ორი წლით.

12. შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი, კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აღდგენის მოთხოვნით მიმართავს რექტორს. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი რექტორს წარუდგენს დასკვნას, გავლილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შესახებ, აქვე უნდა აღინიშნოს სწავლების რომელი ეტაპიდან უნდა გააგრძელოს სტუდენტმა სწავლა.

13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების ან სტატუსის აღდგენის შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს რექტორი.

#### **მუხლი 4. გადაყვანის და აღდგენის წესით ჩარიცხვა ხელოვნების უნივერსიტეტში**

(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 27.04.2013 წლის № 04-01/21 დადგენილებით)

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის პროცესი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №10/5 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“ შესაბამისად.

2. სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

3. სტუდენტთა მობილობა ხორციელდება კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.

4. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების 1 წლის შემდეგ, აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვთ სტუდენტის სტატუსი, თუ სტატუსის შეწყვეტიდან არ არის გასული 12 თვეზე მეტი.

5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირების ვადების დამტკიცების შემდეგ ხელოვნების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი გამოითხოვს ინფორმაციას ფაკულტეტებიდან სტუდენტთა ვაკანტური ადგილების თაობაზე. ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი სახით, ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით დადასტურებული.

6. აკადემიური საბჭო ამტკიცებს, სტუდენტთა როგორც შიდა ისე მობილობისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების საფეხურების მიხედვით.



7. ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა მობილობისათვის გამოყოფილი ადგილების რეგისტრაციას აკრედიტაციის სამსახურის ელექტრონულ პორტალზე, დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი.

8. აკრედიტაციის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი განაცხადით მიმართავს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს. შიდა მობილობით ჩარიცხვის მსურველი რეგისტრაციას გადის მხოლოდ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში.

9. მობილობის მსურველი პირების ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამებთან თავსებადობის დადგენის მიზნით იქმნება საგამოცდო კომისიები. საგამოცდო (შემოქმედებითი ტურების) პირობები და მოთხოვნები განისაზღვრება სწავლების თითოეულ საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სტუდენტთა მირების წესის შესაბამისად.

10. სტუდენტთა მობილობის წესით გადმოყვანის უფლების მინიჭებისა და კრედიტების აღიარების მიზნით იქმნება ფაკულტეტის სპეციალური კომისია.

11. კომისია მობილობის მსურველი პირის განაცხადის დაკმაყოფილებისა და კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემოქმედებითი ტურის შედეგებისა და აკადემიური მოსწრების ფურცელში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რასაც აფორმებს დასკვნის სახით.

12. კომისია დასკვნას გადასცემს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს, რომელიც ამზადებს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს მობილობის ფარგლებში მსურველთა ჩარიცხვის შესახებ. შიდა მობილობის შემთხვევაში კომისიის დასკვნის საფუძველზე ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

13. პროექტი ფორმდება აკრედიტაციის ცენტრის ელექტრონულ პორტალზე მობილობის უფლების მქონე პირთა სიის გამოქვეყნების შემდეგ. ბრძანების პროექტი ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რასაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი.

14. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის შემთხვევაში, გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ (შემოდგომის სემესტრის მობილობისთვის არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, გაზაფხულის სემესტრში არაუგვიანეს 1 მარტისა). პროცედურას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესები მართვის დეპარტამენტი.

15. მობილობის ფარგლებში სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე ბრძანება იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

16. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი გადაეცემა სტუდენტთა მომსახურების განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს მობილობით ჩარიცხული პირის ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტთა რეესტრში ასახვას.

18. მობილობის წესით ჩარიცხვის, აღდგენის ან სპეციალობის შეცვლის შემთხვევაში შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე ხელოვნების უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

19. ხელოვნების უნივერსიტეტიდან გარიცხული იმ პირების აღდგენა, რომელთაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №10/ნ 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებით მინიჭებული აქვთ უფლება აღიდგინონ სტუდენტის სტატუსი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ხორციელდება წინამდებარე წესის მიხედვით.

20. სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხა ხელოვნების უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე, გარიცხვის/ამორიცხვის შემდეგ შეიძლება ჩაირიცხოს ხელოვნების უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აღდგენის წესით. ამ შემთხვევაში სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება გადაყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვისათვის ამ თავით დადგენილი წესით.

21. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული/ამორიცხული პირები, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხულნი იყვნენ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე, ამავე დაწესებულებაში შეიძლება ჩაირიცხონ აღდგენის წესით მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის 23-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

22. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული სტუდენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხვის შემთხვევაში, ხელოვნების უნივერსიტეტი მისთვის განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ეტაპს, სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის თაობაზე წერილობითი მოტივირებული დასკვნის შესაბამისად. აღნიშნულ დასკვნაში მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამასთან, რომელზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება.

23. სწავლების პირველ და მეორე საფეხურზე სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ცნობისა და აღიარების საკითხზე გადაწყვეტილებას დებულობს ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

#### **მუხლი 4<sup>1</sup>. კრედიტების აღიარება**

*(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 18.03.2013 წლის № 04-01/13 დადგენილებით)*

1. ამ წესებით რეგულირდება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის მსურველი პირის, ასევე უნივერსიტეტის შიდა მობილობის მსურველი პირის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოგროვილი კრედიტების თავსებადობის განსაზღვრისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების პრინციპები.

2. უნივერსიტეტში სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ შესწავლილი საგნების სილაბუსების (სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების) ანალიზის საფუძველზე.

3. აღიარებას ექვემდებარება იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხულ, ან შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება ფორმდება ფაკულტეტის დეკანის დასკვნის საფუძველზე. აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურაში ჩართულები არიან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და მიმართულების ხელმძღვანელები, კრედიტების აღიარების პროცედურას ზოგად კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

5. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლის მსურველ ან აღდგენის მსურველ სტუდენტთა (შემდგომში სტუდენტი) კრედიტების აღიარება ექვემდებარება ECTS კრედიტებთან და სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმთან შესაბამისობის დადგენას.

6. მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის აღიარებას ექვემდებარება ე.წ. საუნივერსიტეტო, სპეციალობის სავალდებულო (საფაკულტეტო) საგნების კრედიტები და სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, ე. წ. თავისუფალი კრედიტები, აგრეთვე დამატებითი (minor) სპეციალობის კრედიტები, შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დგინდება სტუდენტის მიერ გავლილი და სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

7. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ახალი პროგრამის კურსის დასახელებას, დასაშვებია ზოგადი ხასიათის საგანის აღიარება, როგორც შესავალი შესაბამის მიმართულებაში, ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის საგნებთან თემატური შეთავსების საფუძველზე.

8. დასაშვებია სტუდენტის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით, ასეთ შემთხვევებში განვლილი კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს, როგორც ე. წ. თავისუფალი არჩევითი კურსი.

9. თუ მობილობის მსურველ სტუდენტს ათვისებული აქვს დამატებითი (minor) სპეციალობა სრულად (60 კრედიტი), პროგრამა შესაძლებელია აღიარებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, თუ უნივერსიტეტში დამატებითი პროგრამის ანალოგი არ არსებობს და გაიწერება დიპლომის დანართში.

10. თუ მობილობის მსურველ სტუდენტს ათვისებული აქვს დამატებითი (minor) სპეციალობა არასრულად, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია, თუ რომელ დამატებით სპეციალობას შეესაბამება მის მიერ განვლილი პროგრამის ნაწილისა და თავისუფალი კრედიტების კონცენტრაცია.

11. თუ ე.წ. თავისუფალი კრედიტების რაოდენობა ასაღიარებელ კრედიტების რაოდენობაზე მეტია, დეკანატი ამ კურსებიდან, სტუდენტთან შეთანხმებით, ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასება აქვს, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სურს, რომ მის მიერ შესწავლილი ყველა თავისუფალი სასწავლო კურსი გაწერილი იყოს დიპლომის დანართში, აღიარებულ იქნება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კურსების ნორმირებული რაოდენობა, ხოლო დანარჩენი ყველა სასწავლო კურსი პირობითად იქნება აღიარებული, ანუ კრედიტების საერთო რაოდენობის განმსაზღვრელი არ იქნება და ჩაიწერება დიპლომის დანართში.

12. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტის მიერ გავლილი სპეციალობის კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს როგორც ე. წ. თავისუფალი არჩევითი კურსი. თუ სტუდენტის მიერ გავლილი და/ან აღიარებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა უტოლდება პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობას, სტუდენტი აღარაა ვალდებული სწავლის შემდგომ პერიოდში შეისწავლოს თავისუფალი საგნები. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თავისუფალი კურსების დატვირთვის დროში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა მოისმინოს დეკანის დასკვნის მიხედვით გაწერილი დამატებითი კრედიტები (არსებობის შემთხვევაში), და/ან ეს დრო დაუთმოს ძირითადი საგნების შესწავლას.

13. სპეციალობის კურსი შეიძლება აღიარებული იქნეს როგორც ე. წ. საფაკულტეტო კურსი, თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა სტუდენტის სასურველი პროგრამის კურსის დასახელებასა და კრედიტს, მაშინ სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად, თუ სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსის კრედიტი აღემატება უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისად მიჩნეული სასწავლო კურსის კრედიტს, მაშინ ხდება მხოლოდ იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო კურიკულუმი.

14. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტი ნაკლებია უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისად მიჩნეული სასწავლო კურსის კრედიტზე, მაშინ შესაძლებელია დეკანის გადაწყვეტილებით სტუდენტის მიერ გავლილ საგანს პირობითად მიენიჭოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტი (მაგ. შესაძლებელია 4 კრედიტიანი კურსი აღიარებული იქნას 5 კრედიტიანად). ერთ კრედიტზე მეტის შემთხვევაში აღიარების პროცედურაში ჩართული პირები კონკრეტული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად ადგენენ აღიარების შესაბამისობას, ხდება სტუდენტის მიერ გავლილი საგნების სილაბუსების ანალიზის შედეგად.

15. თუ მობილობის მსურველი სტუდენტის ე.წ. პირველადი სასწავლებელი იყენებს განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი სასწავლებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან.

16. თუ მობილობის მსურველი სტუდენტის პირველად სასწავლებელს არ გააჩნია ECTS საკრედიტო სისტემა, ან სასწავლო კურსი სტუდენტმა ჩააბარა ახალი სისტემის შემოღებამდე, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო ბარათი, სადაც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ შესწავლილი კურსის მოცულობა აკადემიურ საათებში. აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, კურსის მოცულობას (საკონტაქტო საათებს) დაემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები, მიღებული ჯამი გაიყოფა 25-ზე და დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.

17. აღდგენილი სტუდენტების შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე პირობითი გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

ფრიადი (5) - 91 ქულა - A; კარგი (4) - 80 ქულა - B; დამაკმაყოფილებელი (3) - 60 ქულა - E .

18. თუ სტუდენტს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად რომელიმე საგანში მიღებული აქვს ე. წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“, მაშინ მისი აღიარება ხდება შესაბამისად 5 ბალიანი სისტემიდან 100 ქულიან სისტემაზე პირობითად გადაყვანის პრინციპის შესაბამისად; ე. წ. „ჩათვლის“ აღიარება ხდება ქულის პირობითი მინიჭების შესაბამისად: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.

19. სემესტრის განსაზღვრისას, ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას არა მხოლოდ კრედიტების რაოდენობა, არამედ ის საწავლო კურსებიც, რომლებიც ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულოა, მაგრამ მობილობის მსურველ სტუდენტს გავლილი ან აღიარებული არა აქვს.

20. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან, კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან და მათი გამოცხადების გრაფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა, რაც სტუდენტს ეცნობება წინასწარ.

21. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში საშემსრულებლო ფაკულტეტებზე სტუდენტების გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის აუცილებელ პირობად განისაზღვროს სტუდენტის მიერ სპეციფიური საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდის (შემოქმედებითი ტურის) გავლა, რაც წარმოაჩენს მის შემოქმედებით პოტენციალს. მის წინაშე წაყენებულ იქნას იგივე მოთხოვნები, რაც წაყენება აბიტურიენტს.

22. ამასთან, საშემსრულებლო სპეციალობაზე დასაშვებია სტუდენტის ზოგადსაუნივერსიტეტო და/ან თეორიული ხასიათის საგანის აღიარება, როგორც შესავალი შესაბამის მიმართულებაში, ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის საგნებთან თემატური შეთავსების საფუძველზე.

23. უნივერსიტეტის საშემსრულებლო სპეციალობებზე, ასევე, დასაშვებია სტუდენტის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით, ამ შემთხვევებში განვლილი კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს, როგორც ე. წ. თავისუფალი არჩევითი კურსი.

### **მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის ათვისების წესი**

1. ხელოვნების უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება დასწრებული სწავლების ფორმით ან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა გულისხმობს სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი სასწავლო გეგმის შინაარსს, მოცულობასა და ათვისების წესს. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა შეიძლება შემუშავდეს როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის.

2. სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობას გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე საშემსრულებლო მიმართულებით არა უმეტეს 15 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო, თეორიული მიმართულებით არაუმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკადან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა) (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 08.10.2012 წლის №7 დადგენილებით).

3. მუსიკის ფაკულტატზე ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკიდან გამომდინარე დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და სტუდენტის დამოუკიდებელი დატვირთვის განსხვავებული თანაფარდობა. საშემსრულებლო მიმართულებით: უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ფორტეპიანოს სპეციალობით 1 კრედიტში არაუმეტეს 3 საკონტაქტო საათი; სპეციალობა - აკადემიური სიმღერა, საორკესტრო, ჩასაბერი, სასულე 3,5 საკონტაქტო საათი; ვოკალური ანსამბლი, კამერული სიმღერა, საოპერო კლასი და გუნდი 15 საკონტაქტო საათი; ჩასაბერი ინსტრუმენტების ანსამბლი, კამერული ანსამბლი, საკვარტეტო კლასი 15 საკონტაქტო საათი; საორკესტრო კლასი 20 საკონტაქტო საათი; თეორიული მიმართულებით: 10 საკონტაქტო საათი.

განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა): სპეციალობა 1 კრედიტი - 10 საკონტაქტო საათი, დანარჩენი საგანი - 1 კრედიტი - 6 საკონტაქტო საათი.

4. ხელოვნების უნივერსიტეტში სასწავლო წელი ორსემესტრიანია. სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან:

- 15 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას;
- 3 კვირა - ძირითად საგამოცდო სესიებს;
- 2 კვირა - დამატებით საგამოცდო სესიებს.

5. აუცილებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.

6. სტუდენტის საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო, შემოქმედებით, სამეცნიერო საწარმოო და სხვა პრაქტიკას;
- გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
- შემოქმედებით სამუშაოს, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო სასემინარო ნაშრომი) მუშაობას;
- შემოქმედებითი სამუშაოს ან სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას.

7. სტუდენტს უფლება აქვს დასაბუთებულად მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენა და მონაწილეობა მიიღოს მის შემუშავებაში. სტუდენტის ინდივიდუალურ –სასწავლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.

8. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა და სხვ.).

9. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

10. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

11. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალი ვალდებულია თავისი ინდივიდუალური დატვირთვის ფარგლებში აწარმოოს სასწავლო პროცესი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, მიაწოდოს სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული განათლება. ასახოს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით გათვალისწინებული კრედიტების ადების პირობები სილაბუსში, რომელიც წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის.

სილაბუსში უნდა აისახოს:

- სასწავლო კურსის მოდულის დასახელება;
- სასწავლო კურსის სტატუსი;
- სასწავლო კურსის ხანგრძლივობა;
- სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში, ფორმატი, საათების განაწილება სააუდიტორიო და დამოუკიდებელ სამუშაოს შორის;
- ინფორმაცია პროფესორის/მასწავლებლის შესახებ (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, ფაკულტეტისა და დეპარტამენტის დასახელება, სადაც მუშაობს ლექტორი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;
- სასწავლო კურსის/მოდულის შესწავლის წინაპირობები;
- სასწავლო კურსის ფორმატი;
- სასწავლო კურსის შინაარსი;
- დაშვების წინაპირობა
- შეფასების კომპონენტები და ქულათა განაწილება კომპონენტებს შორის;
- სავალდებულო ლიტერატურა;
- დამატებითი ლიტერატურა;
- სწავლის შედეგები.

სილაბუსი განიხილება შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.

12. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

13. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. **სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:**

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც თავის მხრივ მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას და მიმდინარე რეიტინგულ შეფასებას. შუალედური შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა კომპონენტებსაც;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

გ) მუსიკის ფაკულტეტზე საშემსრულებლო მიმართულებით შუალედური შეფასება დასაშვებია ერთკომპონენტის იყოს.

დ) დასკვნითი გამოცდა ჩატარდეს ყოველი სემესტრის ბოლოს ყველა საგანში

14. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა, მიმდინარე შეფასებას - 60 ქულა.

15. **სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 11 ქულა**, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

15<sup>1</sup>. მიმდინარე სემესტრული შუალედური შეფასება ტარდება მე-7 და მე-14 კვირას (*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 15.12.2011 წლის № 92 დადგენილებით*).

16. სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში.

17. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

A – ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

B – ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

C – კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

D – დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

E – საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

FX – ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

F – ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

18. სტუდენტი “ჩაიჭრა” შეფასებას დებულობს აგრეთვე:

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

19. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

19<sup>1</sup>. დასკვნით და, შესაბამისად, დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა (*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 18.03.2013 წლის № 04-01/13 დადგენილებით*).

20. სტუდენტს დასკვნითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების გაპროტესტების უფლება აქვს შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს სამი დღისა.

20<sup>1</sup>. სტუდენტს, რომელიც ფინანსური დავალიანების გამო არა დაიშვა სპეციალობის სემესტრულ გამოცდაზე/გამოცდებზე, მიეცეს უფლება ფინანსური დავალიანების სრულიად დაფარვის შემდეგ ჩააბაროს სპეციალობის გამოცდა/გამოცდები, სწავლის საფასურის გადახდის წესით დადგენილი ვადების შესაბამისად (*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 18.03.2013 წლის № 04-01/13 დადგენილებით*).

სამსახიობო სპეციალობის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტი, სპეციალობის გამოცდის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაიშვება სპეციალობის სემესტრულ გამოცდაზე, მაგრამ შეფასება საგანში ჩაეწერება მხოლოდ სემესტრული სწავლის სრულად გადახდის შემთხვევაში (*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 15.12.2011 წლის № 92 დადგენილებით*).

20<sup>2</sup>. სასცენო ხელოვნების მიმართულების სტუდენტს, რომელიც მიიღებს სრულიად არადამაკმაყოფილებელ შეფასებას მსახიობის ოსტატობაში, ეკრძალება სწავლის გაგრძელება აღნიშნული საგნის მომდევნო ეტაპზე და მან განმეორებით, მომდევნო სასწავლო წლის კურსთან ერთად, უნდა გაიაროს საგანი (*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 15.12.2011 წლის № 92 დადგენილებით*).

20<sup>3</sup>. სტუდენტი ინგლისური ენის სასწავლო კურსის სემესტრულ გამოცდაში ჩაჭრის შემთხვევაში ვერ გადავა აღნიშნული სასწავლო კურსის შემდეგ ეტაპზე და განმეორებით აითვისებს დავალიანებულ კრედიტს, უნივერსიტეტში მოქმედი წესის მიხედვით (*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 09.07.2012 წლის № 134 დადგენილებით*).

21. სასწავლო კურსში/მოდულში ”(F) ჩაიჭრა” შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე დამატებით გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნ(ებ)ის დარეგისტრირების მიზნით.

21<sup>1</sup>. სტუდენტს უფლება არა აქვს დაარეგისტროს სასწავლო კურსი/მოდული თუ მისი შესწავლის წინაპირობა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი („F”) ჩაიჭრა შეფასება (*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 18.03.2013 წლის № 04-01/13 დადგენილებით*).

22. სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX) ან არ გამოცხადდა გამოცდაზე, საპატიო მიზეზით (უწყისში დაფიქსირებულია „არგამოცხადება“ და სტუდენტი დეკანატში წარადგენს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს) უფლება აქვს

გავიდეს დამატებით გამოცდაზე. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდებისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო „ჩაიჭრა“, „ვერ ჩააბარა“ ან „არ გამოცხადდა“, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

23. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, 100-ქულიანი სისტემით ხდება აგრეთვე პრაქტიკის, პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომების შეფასებაც.

24. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, სტუდენტი ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, დეკანატის მიერ დადგენილ ვადაში, გადის აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შერჩევას და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას (აფორმებს სასწავლო ხელშეკრულებას დანართი 1-ის შესაბამისად). რეგისტრაცია ხდება შემდეგი წესის მიხედვით:

ა) აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო წლისათვის დაარეგისტრიროს არა უმეტეს 75 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები.

ბ) გასულ სასწავლო წელში 15 და ნაკლები კრედიტის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტი დამდეგი სასწავლო წლისთვის არეგისტრირებს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამით შესაბამის სემესტრებში გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს, ისე გასულ სასწავლო წელს აუთვისებელ კურსებსაც.

გ) 25 კრედიტზე მეტი აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს დაარეგისტრიროს მხოლოდ ის სასწავლო კურსები/მოდულები, რომლებიც ხელშეკრულებით აქვს შესასწავლი და არჩევითი საგნები/მოდულები.

25. დამატებით სპეციალობაზე ან არჩევით კურსზე (კურსებზე) დასარეგისტრირებლად სტუდენტი მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს. თუ დამატებით საგანმანათლებლო ან არჩევით კურსზე (კურსებზე) პროგრამაზე სწავლის მსურველთა რიცხვი აღემატება პროგრამით გათვალისწინებულ კონტინგენტს, ფაკულტეტის მიერ განისაზღვრება პროგრამაზე დაშვების პირობა. დამატებით სპეციალობაზე სტუდენტის დაშვების შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს რექტორი დეკანის წარდგინებით. სტუდენტის მიერ დამატებითი სპეციალობის ფარგლებში დარეგისტრირებული საგნები/მოდულები აისახება აგრეთვე სასწავლო ხელშეკრულებაში. თუ დამატებით სპეციალობაზე სტუდენტთა რაოდენობა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია, სტუდენტმა უნდა აირჩიოს სხვა დამატებითი სპეციალობა ან არჩევითი კურსები.

26. სტუდენტს სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში შეუძლია შეცვალოს სასწავლო ხელშეკრულება პირადი განცხადების საფუძველზე.

27. 24-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ ეტაპზე. სტუდენტის მიერ ათვისებულ და ასათვისებელ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსსა და სწავლის საფასურში არსებული განსხვავების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დამატებით დაარეგისტრიროს განსხვავებული სასწავლო კურსები და გადაიხადოს სწავლის საფასური იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომელზეც დარეგისტრირდება.

28. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

- ფაკულტეტის დეკანი;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- შესაბამისი დეპარტამენტის სპეციალისტი;
- ფაკულტეტის მდივანი;
- დეკანის მიერ შერჩეული სხვაპირი.

29. კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, ადგენს, შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს პროგრამის მოთხოვნები. სტუდენტის მიერ პროგრამის მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის. პირად საქმეში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში სტუდენტს აძლევს მათი გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს.

30. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

31. ხელოვნების უნივერსიტეტში გამოიყენება, აგრეთვე, სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო

კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე.  $GPA = \frac{\sum GP \times CR}{\sum CR}$ , სადა GP- წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას (ქულას), ხოლო CR- აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს.

32. შეფასების 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადასაყვანად გამოიყენება შემდეგი სქემა:

ფრიადი (5) – 95 ქულა (A ფრიადი)

კარგი (4) – 85 ქულა (B კარგი)

საშუალო (3) – 65 ქულა (D საშუალო)

„ჩათვლა“ შეფასების ექვივალენტურ შეფასებად ჩაითვალოს სხვა საგნებში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე.

შეფასების 10 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადასაყვანად გამოიყენება შემდეგი სქემა:

ფრიადი (9-10) – 91-100 ქულა (A ფრიადი)

კარგი (6-7-8) – 71-90 ქულა (B კარგი)

საშუალო (3-4-5) - 51-70 ქულა (D საშუალო)

„ჩათვლა“ შეფასების ექვივალენტურ შეფასებად ჩაითვალოს სხვა საგნებში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 28.01.2013 წლის № 32 დადგენილებით).

**მუხლი 6. საბაკალავრო/ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ნაშრომის გაფორმება-წარდგენა** (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 21.03.2011 წლის № 46 დადგენილებით).

1. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით ითვალისწინებს სადიპლომო ნაშრომის შესრულებას.

1<sup>1</sup>. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

1<sup>2</sup>. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა შეიძლება დაადგინოს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შესრულების განსხვავებული კრიტერიუმები, რომელიც უნდა აისახოს შესაბამის პროგრამაში (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 27.04.2013 წლის № 04-01/21 დადგენილებით).

2. საშემსრულებლო მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სადიპლომო ნაშრომი უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შემოქმედებითი ნაშრომის შესრულებას;

ბ) შემოქმედებითი ნაშრომის კვლევით ანალიზს;

გ) ზოგიერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დასაშვებია სადიპლომო ნაშრომის მხოლოდ შემოქმედებითი ნაწილის შესრულება შესაბამისი დეპარტამენტის ან პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. თეორიული მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სადიპლომო ნაშრომი ითვალისწინებს მხოლოდ თეორიული ნაშრომის შესრულებას.

4. საშემსრულებლო მიმართულების ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სადიპლომო შემოქმედებითი ნაშრომის თეორიული კვლევითი ანალიზი წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა) ყდაში აკინძული.

ბ) ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;

გ) შრიფტის სახე – Sylfaen;

დ) შრიფტის ზომა – 12;

ე) სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;

ვ) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა – 3 სმ, მარჯვენა – 1,5 სმ, ზემოთ – 2 სმ, ქვემოთ 2 სმ;

5. სადიპლომო ნაშრომის მოცულობა:

ა) საშემსრულებლო მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომის (შემოქმედებითი ნაშრომის კვლევითი ანალიზი) თეორიული ნაწილის მოცულობას განსაზღვრავს შესაბამისი დეპარტამენტი დიპლომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

ბ) თეორიული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 გვერდს, დანართების გარეშე, ხოლო საბაკალავრო ნაშრომისა - არანაკლებ 25 გვერდს.



6. ა) საბაკალავრო ნაშრომის თემატიკა პროფესიული/სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, რომლის საფუძველზე გამოიცემა ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტი.

ბ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სადიპლომო ნაშრომის თემის დამტკიცება უნდა მოხდეს დაცვამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის თემის დამტკიცება - სამაგისტრო პროგრამის პირველი სასწავლო წლის განმავლობაში.

გ) სადიპლომო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის ურთიერთშეთანხმებით.

7. თეორიული ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს შემდეგი სტრუქტურით:

ა) თავფურცელი – წარმოადგენს სადიპლომო/სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდს. თავფურცელზე, ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის დასახელება უნდა გამოიყოს ქვედა ნაწილისაგან 2-3 სმ-ით, მომდევნო ხაზზე 1,5 ინტერვალით ფაკულტეტის დასახელება. შემდეგ აღინიშნება სტუდენტის სახელი და გვარი, შუა ნაწილში - ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა 16), ნაშრომის სათაურის შემდეგ იწერება სპეციალობის დასახელება და საძიებელი ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი. თავფურცლის მარჯვენა მხარეს აღინიშნება თემის ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა ან აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ.: ბათუმი - 2011);

ბ) სარჩევი – თანმიმდევრულად უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება დასაწყისი გვერდების ნომრების მითითებით;

გ) შესავალი – უნდა აისახოს საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

დ) ძირითადი ტექსტი – იგი ასახავს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ე) სამაგისტრო ნაშრომის დასკვნა – წარმოადგენს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, სადაც უნდა აისახოს მიღებული ახალი მეცნიერული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პერსპექტიული გამოყენების სფერო.

ვ) საბაკალავრო ნაშრომის დასკვნაში უნდა აისახოს ნაშრომის ძირითადი შედეგები, რაც მოკლედ და კონკრეტულად უნდა პასუხობდეს ნაშრომის მიზნებსა და დასმულ ამოცანებს.

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს, ანბანური თანმიმდევრობით. იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული ლიტერატურა რამდენიმე ენაზეა, იგი უნდა დაჯგუფდეს შემდეგი თანმიმდევრობით: ქართული, ლათინური ანბანი, კირილიცა სხვა ანბანები (არაბული, ივრითი და ა. შ).

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ენაზე. ლიტერატურული პირველწყაროს მითითებისას უნდა იქნეს დაცული შემდეგი სტილი (მიაქციეთ ყურადღება ლიტერატურის გაფორმების ყველა დეტალს: ფრჩხილების, წერტილ-მძიმის, იტალიკის ადგილმდებარეობას, ვინაიდან ლიტერატურის სიის ამგვარი გაფორმება შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.)

მონოგრაფია: ავტორის გვარი, სახელი (წელი), წიგნის სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა.

სტატია სტატიათა კრებულიდან: ავტორის გვარი, სახელი (წელი), სტატის სრული სათაური. კრებულში: კრებულის სრული დასახელება, რედაქტორის გვარი სახელი (სტატიის გვერდები), გამოცემის ადგილი, გამომცემლობა.

სტატია ჟურნალიდან/გაზეთიდან: ავტორის გვარი სახელი (წელი). სტატიის სრული სათაური. ჟურნალში/გაზეთში: ჟურნალის/გაზეთის სათაური. ნომერი, გვერდები.

სტატია ვებ-გვერდიდან: ავტორის გვარი სახელი, სტატის სახელწოდება (ვებ-გვერდის დასახელება).

ნაშრომის ტექსტში დამოწმებული ლიტერატურის გაფორმება: ნაშრომის ტექსტში დამოწმებული ლიტერატურა ფორმდება შემდეგნაირად: ფრჩხილებში მოცემულია ავტორის გვარი, გამოცემის წელი, ციტატის (ან გამოყენებული აზრის) გვერდი.

სქოლიო: სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავი/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა - 10. სქოლიოს ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველი გვერდიდან ან იყოს გამჭოლი (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 27.04.2013 წლის № 04-01/21 დადგენილებით).

თ) საილუსტრაციო მასალა (არსებობის შემთხვევაში).

8. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები უნივერსიტეტის ფონდში უნდა ინახებოდეს 5 წლის განმავლობაში.

#### **მუხლი 7. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ნაშრომის დაცვის პროცედურა**

1. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულების შემთხვევაში.

1<sup>1</sup>. მუსიკის ფაკულტეტზე საშემსრულებლო მიმართულებით ტარდება საკვალიფიკაციო გამოცდები. გამოცდების რაოდენობას განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი დეპარტამენტთან შეთანხმებით და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 09.07.2012 წლის № 134 დადგენილებით).

2. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის დაცვა უნდა ჩატარდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შედგენილი კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტით. ნაშრომის დაცვის პროცედურა საჯაროა. ნაშრომის წარდგენისთვის მომხსენებელს ეძლევა 10-15 წუთი.

3. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, სპეციალობას, ხელმძღვანელს და რეცენზენტს. ამის შემდეგ ნაშრომს წარადგენს სტუდენტი. სტუდენტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზანები, ამოცანები და ძირითადი შედეგები.

4. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება ნაშრომი.

5. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომი კომისიის მიერ უნდა შეფასდეს წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, ECTS-ის შეფასებათა ასქულიანი სისტემით. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი როგორც კომისიის წევრებისათვის, ისე სტუდენტებისთვისაც.

6. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

7. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

8. თუ საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 41-50%-ით, სტუდენტს უფლება აქვს ნაშრომი ხელმეორედ წარმოადგინოს 1 თვის განმავლობაში. თუ საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 0-40%-ით, სტუდენტი ვალდებულია ნაშრომი დაამუშაოს ხელახლა და წარმოადგინოს დასაცავად 3 თვის განმავლობაში, სამუსიკო საშემსრულებლო მიმართულებით კი - 12 თვის განმავლობაში.

9. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ობიექტური მიზეზებით ვერ წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომს დადგენილ ვადაში, ვალდებულია ნაშრომი წარმოადგინოს მაქსიმუმ 12 თვის განმავლობაში.

10. სტუდენტმა განმეორებითი დაცვის დანიშვნის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

11. სტუდენტს უფლება აქვს წარსდგეს საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის განმეორებით დაცვაზე მხოლოდ ერთხელ.

#### **მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა**

1. საშემსრულებლო მიმართულებით მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შემოქმედებითი ნაწარმოები (სპექტაკლი, ფილმი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში, მუსიკალური, ფერწერული ან გრაფიკული ნამუშევარი) და ამ ნაწარმოების კვლევითი ანალიზი.

1<sup>1</sup>. მუსიკის ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შედგება ორი ნაწილისაგან საშემსრულებლო და თეორიული მიმართულებით:

საშემსრულებლო მიმართულებით საკვალიფიკაციო გამოცდა/გამოცდები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

პროგრამის თეორიულ ნაწილში სრულდება სამაგისტრო ნაშრომი (*ცვლილება მეტანილია აკადემიური საბჭოს 09.07.2012 წლის № 134 დადგენილებით*).

2. მაგისტრატურის აკადემიურ საფეხურზე შემოქმედებითი ნაშრომის წარმოდგენის, დაცვისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბამის დეპარტამენტებთან ადგენს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

3. მაგისტრანტი ვალდებულია დეკანატის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომი და წარდგეს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე. მაგისტრანტების აკადემიურ საფეხურზე შემოქმედებითი ნაშრომის (სპექტაკლი, ფილმი, მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში) წარმოდგენის, დაცვისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბამის დეპარტამენტთან შეთანხმებით ადგენს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

4. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა ხდება იმ დეპარტამენტში (ან სპეციალურ დარბაზში), სადაც შესრულდა სამაგისტრო პროგრამა. დეპარტამენტი განიხილავს შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობას სამაგისტრო ნაშრომის მიმართ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან, საჭიროების შემთხვევაში აძლევს მაგისტრანტს რეკომენდაციებს არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. წინასწარი განხილვის გარეშე ნაშრომი არ დაიშვება საჯარო დაცვაზე. საშემსრულებლო მიმართულებით მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შემომედეგებითი ნაშრომი (სპექტაკლი, ფილმი, მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში) და ნაშრომის კვლევითი ანალიზი.

5. განხილული სამაგისტრო ნაშრომისათვის დეპარტამენტი გამოყოფს რეცენზენტს. რეცენზენტმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის შესახებ ნაშრომის წარდგენიდან 2 კვირის განმავლობაში. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საკვალიფიკაციო კომისიაზე. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობას, მის თავმჯდომარესა და მდივანს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

7. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვოს არანაკლებ ხუთი წევრისა.

8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღს ადგენს ფაკულტეტის დეკანი დაცვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა. დაცვის ორგანიზებისათვის ფაკულტეტის დეკანს შუამდგომლობით მიმართავს შესაბამისი დეპარტამენტი.

9. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულების შემთხვევაში.

10. დაცვა არის საჯარო. დაცვის პროცესზე და შედეგზე უნდა შედგეს ოქმი.

11. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:

- სამაგისტრო ნაშრომის წარდგენას; (საშემსრულებლო მიმართულებით სპექტაკლი, ფილმი, მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და მათი კვლევითი ანალიზი).

- დისკუსიას;

- შეფასებას.

12. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს აცნობს რეცენზენტის შეფასებას.

13. საჯარო დაცვის პროცედურა გულისხმობს აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საკვალიფიკაციო კომისიის დახურულ სხდომაზე.

14. საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ მაქსიმუმ 100 ქულით და ითვალისწინებენ შესაბამისი პროგრამით დადგენილ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს.

15. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება საკვალიფიკაციო კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

16. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შესახებ მაგისტრანტს აცნობს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე.

17. დაცვის პროცედურის შესახებ ოქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი. საკვალიფიკაციო კომისიის თითოეული წევრი სამაგისტრო ნაშრომისათვის მინიჭებულ ქულას აფიქსირებს შეფასების ფურცელში (დანართი 2) და ადასტურებს პირადი ხელწერით. შეფასების ფურცლებიდან სპეციალურ ოქმში (დანართი 3) შეფასებები გადააქვს კომისიის მდივანს, აქვე ფიქსირდება საბოლოო შეფასებაც. საკვალიფიკაციო კომისიის წევრები ხელმოწერით ადასტურებენ

შეფასებას. შეფასების ფურცლები და საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები გადაეცემა დეკანატს და ისინი ინახება მაგისტრანტის პირად საქმეში.

18. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება საკრედიტო სისტემის შეფასების შესაბამისად, მე-5 მუხლის პუნქტი 17-ის მიხედვით. კვლევითი კომპონენტი ითვლება შესრულებულად, თუ საკვალიფიკაციო კომისია სამაგისტრო ნაშრომს შეაფასებს მაქსიმალური შეფასების 51-100%-ით. თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 41-50%-ით მაგისტრანტს უფლება აქვს თემა ხელმეორედ წარმოადგინოს 3 თვის განმავლობაში. თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 0-40%-ით, მაგისტრანტი ვალდებულია თემა დაამუშაოს ხელახლა და წარმოადგინოს დასაცავად 6-12 თვის განმავლობაში.

19. მაგისტრანტმა განმეორებითი დაცვის დანიშვნის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

20. მაგისტრანტს უფლება აქვს წარდგეს სამაგისტრო ნაშრომის განმეორებით დაცვაზე მხოლოდ ერთხელ.

21. იმ შემთხვევაში თუ მაგისტრანტი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ობიექტური მიზეზებით ვერ წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომს დადგენილ ვადაში, ვალდებულია ნაშრომი წარადგინოს მაქსიმუმ 12 თვის განმავლობაში.

21<sup>1</sup>. ბაკალავრს/მაგისტრანტს ორჯერ სადიპლომო/სამაგისტრო (საკვალიფიკაციო გამოცდა) ნაშრომში არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღებისას შეუწყდეს სტატუსი *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 24.10.2011 წლის № 75 დადგენილებით)*.

22. საბაკალავრო და სამაგისტრო ნამუშევრები იქნეს გადაღებული, აღრიცხული და შენახული უნივერსიტეტის ფონდში.

#### **მუხლი 9. კვალიფიკაციის მინიჭების წესი**

1. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით.

2. პირს, რომელმაც არ, ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა სათანადო მოწმობა.

3. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ასევე გადაწყვეტილებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ღებულობს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის № 149 ბრძანებით დამტკიცებული „უმადლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმის“ 4.5 პუნქტში” 4.5 კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია (ორი-გინალის ენაზე)” დაფიქსირდეს კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA), კრე-დიტების სისტემით განსაზღვრული (წინამდებარე დებულების მე-5 მუხლის 22-ე პუნქტი) შეფასების მითითებით.

**სწორია:**

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი  
სასწავლო ხელშეკრულება**

სტუდენტის გვარი, სახელი:
პირადი ნომერი:
ფაკულტეტი:
ძირითადი სპეციალობა:
დამატებითი სპეციალობა;
უნივერსიტეტში ჩარიცხვის წელი:

**საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და სპეციალობის მოდულები/სასწავლო კურსები**

მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა

**დამატებითი სპეციალობის ან არჩევითი კუტსის მოდულები/სასწავლო კურსები**

მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა

**ხელმეორედ შესასწავლი მოდულები/სასწავლო კურსები**

მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა

**სტუდენტის მიერ --- ---- სასწავლო წლისათვის დარეგისტრირებული მოდულები/სასწავლო კურსები**

**სტუდენტი**  
 ვადასტურებ, რომ ვიცნობ ხელოვნების უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესს და შესაბამისად, ამ წესის მე-5 მუხლის 24-ე პუნქტით განსაზღვრული აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას.  
 თარიღი:  
 ხელმოწერა:

**სასწავლო**  
 ჩვენ ვადასტურებთ, რომ ხელოვნების უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მოთხოვნათა შესაბამისად სტუდენტმა \_\_\_ - \_\_\_ სასწავლო წლისათვის აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით ფაკულტეტთან გააფორმა წინამდებარე სასწავლო ხელშეკრულება.  
 ფაკულტეტის დეკანი ჯგუფის ხელმძღვანელი  
 თარიღი: თარიღი:  
 ხელმოწერა: ხელმოწერა

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი  
სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფურცელი №

“ \_\_\_ “ \_\_\_\_\_ 20 – წ.

ფაკულტეტის დასახელება \_\_\_\_\_

სპეციალობა \_\_\_\_\_

მაგისტრანტი \_\_\_\_\_

შეფასების კომპონენტები:

№	კომპონენტის დასახელება	კომპონენტის მაქსიმალური ქულა	კომისიის წევრის მიერ მინიჭებული ქულა
1			
2			
3			
4			
5			
კომისიის წევრის მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამი			

კომპონენტების შეფასებათა მაქსიმალური მაჩვენებლების ჯამი უნდა შეადგენდეს 100 ქულას.

საკვალიფიკაციო კომისიის წევრი \_\_\_\_\_

(სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა)

ხელმოწერა \_\_\_\_\_ - \_\_\_\_\_

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
საკვალიფიკაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის

ოქმი №

”-----” -----201-- წ.

ფაკულტეტი -----  
სამაგისტრო სპეციალობა -----  
მაგისტრანტი (სახელი, გვარი) -----  
სპეციალობა -----  
სამაგისტრო ნაშრომის თემა -----  
სამაგისტრო ნაშრომის დაცვას ესწრებოდნენ  
საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე -----  
(აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

საკვალიფიკაციო კომისიის წევრები (აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

- 1. -----
- 2. -----
- 3. -----
- 4. -----
- 5. -----
- 6. -----

საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი -----  
(აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

სამაგისტრო ნაშრომისათვის საკვალიფიკაციო კომისიის ცალკეული წევრის მიერ მინიჭებული ქულა:

№	საკვალიფიკაციო კომისიის წევრი	აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი	შეფასება (0-100 ქულა)

სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა (შეფასება განისაზღვრება ცალკეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით) ”-----” ქულით.

საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა დასტური, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაზე: კომისიის წევრთა ხელწერები:

- საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე -----
- 1. -----
  - 2. -----
  - 3. -----
  - 4. -----
  - 5. -----
  - 6. -----

საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი -----

შენიშვნა: 1. საბაკალავრო ნაშრომი ფორმდება იმავე წესით, როგორც სამაგისტრო ნაშრომი.  
2. ოქმი იწმინდება ცალკეული მაგისტრანტისთვის დაცვის რიგითობის შესაბამისად. დაცვის შემდეგ ოქმი გადაეცემა დეკანატს. ოქმის მართებულ წარმოებაზე პასუხისმგებელია საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი და თავმჯდომარე.